წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 09-02
15 01 2016წ.

გორი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის (15.01.2016. N27217) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის ანგარიში დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის გამგეს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2015 წლის გაწეული სამუშაოს

ანგარიში

კანცლერი - გიორგი ხორბალაძე

2015 წლის დეკემბრის მონაცემებით უნივერსიტეტი განთავსებულია ხუთ სასწავლო კორპუსში, ასევე უნივერსიტეტის კუთვნილებას წარმოადგენს ბიბლიოთეკა, ჭიდაობის დარბაზი(სარეაბილიტაციო), რძის საწარმო ,,ნებიერა", მიწის ნაკვეთი - ტურისტული ბანაკი ატენის ხეობაში :

1. I სასწავლო კორპუსი განთავსებულია - გორი, ჭავჭავაძის №53.
2. II სასწავლო კორპუსი განთავსებულია - გორი, ჭავჭავაძის №61.
3. III სასწავლო კორპუსი განთავსებულია - გორი, ჩერქეზიშვილის №1.
4. IV სასწავლო კორპუსი განთავსებულია - გორი, აღმაშენებლის №124.
5. V სასწავლო კორპუსი განთავსებულია - გორი, ბესიკის №2.
6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საჭიდაო დარბაზი - გორი, შაფთოშვილის №34.
7. უნივერსიტეტის რძის საწარმო ,,ნებიერა" - გორი, ჭონქაძის №3.
8. მიწის ნაკვეთი ატენის ხეობაში.

- **2015 წელს არსებული სამსახურების ჩამონათვალი:**

1. რექტორის აპარატი.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
4. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.
5. ფინანსების სამსახური.
6. სამეურნეო და დაცვის სამსახური.
7. ბიუჯეტირებისა და შესყიდვის სამსახური.
8. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
9. სტრატეგიული განვითარების,საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
10. სტუდენტთა სტატისტიკა - რეგისტრაციის სამსახური.
11. საგამოცდო ცენტრი.
12. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური.
13. კანცელარია.
14. ბიბლიოთეკა.

15. კულტურისა და სპორტის ცენტრი.
16. იურისტი.
17. ექთანი.
18. IV-V საფეხურისა და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრატორი.

- **უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი 2015 წლის დეკემბერში შედგება:**

1. აკადემიური პერსონალი - 91.
2. მოწვეული სპეციალისტი - 128.
3. ადმინისტრაცია - 10.
4. დამხმარე პერსონალი - 104.
5. ხელშეკრულებით - 83.
6. მასწავლებელი - 6.

- **2015 წლის შემოსავლისა და გასავლის მოკლე ანალიზი:**

2015 წლის დასაწყისში საბანკო ანგარიშებზე გვქონდა 682 084 ლარი ნაშთის სახით.

2015 წლის შემოსავლების საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 714 271 ლარი. მათ შორის:

1. ბიუჯეტიდან ჩამორიცხული სახელმწიფო სტიპენდია 90 000 ლარი;
2. მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის 102 914 ლარ
3. უნივერსიტეტის ბიუჯეტში იჯარიდან შემოვიდა 28 452 ლარი;
4. საპროცენტო შემოსავალმა კი შეადგინა 12 639 ლარი;

2015 წლის გასავალის საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 846 943 ლარი,

აქედან:

შრომის ანაზღაურება შტატიან თანამშრომლებზე - 2 178 422 ლარი, მათ შორის პრემია - 117 936 ლარი;

საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯული იქნა - 1 167 556 ლარი;
მათ შორის:
შტატგარეშე თანამშრომლებზე - 731 674 ლარი, მათ შორის პრემია - 25 270 ლარი;

მივლინების ხარჯები - 44 025 ლარი;
კომუნალური ხარჯი - 16 292 ლარი;
წარმომადგენლობითი ხარჯი - 22 018 ლარი;
კულტურული ღონისძიების ხარჯი 7 200 ლარი.
კონფერენციებზე და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯი 4 946 ლარი.
სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯმა შეადგინა - 13 000 ლარი; (ბიულეტინი)
სხვა ხარჯების სახით ნახარჯია - 240 445 ლარი, აქედან:

სახელმწიფო სტიპენდიებზე გაცემულია 90 000 ლარი,
ბიუჯეტში გადასახადებზე გადაირიცხა – 126 200 ლარი;
სხვა სახელობის სტიპენდიები და გრანტები - 12 470 ლარი.

არაფინანსურ აქტივების შეძენაზე გახარჯულ იქნა - 170 786 ლარი;
ძირითადი აქტივების ზრდა 126 656 ლარი.
მატერიალურ მარაგებზე 44 130 ლარი.

- **2015 წელს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების ანალიზი.**

საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ტენდერებიდან შედგა 29 ტენდერი. რომელთა ღირებულებამ ჯამში შეადგინა 305 758 ლარი.

განხორციელებული ტენდერების სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 281 787 ლარი.

გამოცხადებული და რეალურად შემდგარ ტენდერებს შორის ეკონომიამ შეადგინა 23 971 ლარი.

- **სარემონტო სამუშაოები:**

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით და საკუთარი ხარჯებით ჩატარდა 50 720 ლარის ღირებულების სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაო - რეაბილიტირებულ იქნა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სახურავი.

ჩატარდა უნივერსიტეტის ეზოს ღობის აღდგენითი სამუშაოები რისთვისაც გაიხარჯა 4 400 ლარი.

უნივერსიტეტის მეხუთე სასწავლო კორპუსში ჩატარდა ერთი ოთახის სარემონტო სამუშაოები, მოდულური პროგრამის ,,სასტუმროს საქმის სპეციალისტი" რისთვისაც გაიხარჯა 1 988 ლარი.

- **კონფერენციები უნივერსიტეტში;**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2015 წელს ჩატარდა თორმეტი სამეცნიერო კომფერენცია:

1. 14-15 თებერვალი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

2. 23 აპრილი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დაგეგმილი შიდა ქართლის რეგიონის მოსწავლეთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია.

3. 30 აპრილი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და შიდა ქართლის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნერო კონფერენცია.

4. 25 მაისი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ოთარ ჩხეიძის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ინიციატივით საჯარო ლექციის ჩატარება.

5. 5 ივნისი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ინიციატივით წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) 190-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

6. 12 ივნისი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დაგეგმილი იაკობ გოგებაშვილის სახელობის მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

7. 20 ივნისი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისში დაგეგმილი აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

8. 26 ივლისი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

9. 11 ნოემბერი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დაგეგმილი ვარშავის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი.

10. 13-14 ნოემბერი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიში დაგეგმილი მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

11. 27 ნოემბერი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

12. 11-12 დეკემბერი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიში დაგეგმილი ქართულ თურქული კონფერენცია.

აღნიშნული კომფერენციების ორგანიზებისთვის (გამოიცა სამეცნიერო კონფერენციების ნაშრომების კრებულების ნაწილი, წარმომადგენლობითი ხარჯები, საკანცელარიო და საკომფერენციო მასალა) სულ გახარჯულ იქნა 16 803 ლარი. კონფერენციების ლანჩების ორგანიზებისათვის და სტუმრებისათვის სადილის მოწყობაზე გახარჯული იქნა 14 770 ლარი.

- **საგამომცემლო საქმიანობა**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი პერიოდულად, სპეციალური წესის მიხედვით, აფინანსებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემას. ასევე, უნივერსიტეტს აქვს თავისი გაზეთი და ჟურნალი.

2015 წელს უნივერსიტეტის მიერ, დაფინანსებულ იქნა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოს გამოცემა რომლის ღირებლებამ შეადგინა 392 ლარი.

2015 წელს გამოიცმეოდა უნივერსიტეტის ყოველთვიური გაზეთი ,,გორის უნივერსიტეტი" და ყოველთვიური ჟურნალი ,,ჩვენი უნივერსიტეტი" მათი გამოცემის წლიურმა ღირებულებამ შეადგინა 6 210 ლარი.

სტუდენტთა სწავლების სათანადო პირობების შექმნის მიზნით შეძენილი იქნა **8 604** ლარის სასწავლო სახელმძღვანელო.

- **სარეკლამო მომსახურება**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობის და პოპულარობის გაზრდის მიზნით 2015 წელს გატარდა სხვადასხვა სახის სარეკლამო ღონისძიებები, მათ შორის, მომზადდა და ეთერში გავიდა სატელევიზიო სარეკლამო რგოლები. სულ სარეკლამო მომსახურეობისთვის გაიხარჯა **4 453** ლარი.

- **კულტურულ - სპორტული მუშაობის ხელშეწყობა.**

2015 წელს შეძენილ იქნა:
სპორტული ინვენტარი **3 240** ლარის.
სტუდნტთა ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზებისათვის გახარჯული იქნა **1 416** ლარი.

- **შეძენილი იქნა ტექნიკა:**

პერსონალური კომპიუტერები ათი ცალი **8 202** ლარის ღირებულების.
ვიდეოთვალის კამერები თხუთმეტი ცალი **4 941** ლარის ღირებულების.
კონდენციონერები რვა ცალი **4 880** ლარის ღირებულების.
ვიდეოკამერა **4 345** ლარის ღირებულების.
ფოტოაპარატი **991** ლარის ღირებულების.
ფოტოლაბორატორიის აპარატურის შესყიდვა **1 046** ლარის ღირებულების.
აპარატურა ხმისა და ვიდეო ჩაწერისა და აღწარმოებისთვის **920** ლარის ღირებულების.
ციფრული ტელევიზორი **600** ლარის ღირებულების.
მობილური ტელეფონი ორი ცალი **2 131** ლარის ღირებულების.

2015 წლის განმავლობაში, როგორ ტენდერების საშუალებით, ისე გამარტივებული შესყიდვის წესით შეძენილ იქნა სამეურნეო, სანტექნიკური, ელექტრო, საკანცელარიო ნივთები და ინვენტარი **28 398** ლარის ღირებულების.

- 2015 წელს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებულ და გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები - ***570066.839*** ლარზე; აქედან,

- უნივერსიტეტის თანხებით გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები - ***421461.119*** ლარზე;
- გრანტის თანხებით გაფორმებულ იქნა შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები - ***29192.03*** ლარზე;
- სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით გაფორმებულ იქნა შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები - ***119413.69*** ლარზე (აქედან, ***24644.9*** ლარი გამოყენებულ იქნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე; ხოლო ***94768.79*** ლარი - მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესყიდვისათვის);

- 2015 წელს შესყიდვები განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმების გარეშეც (საერთო თანხა - ***120*** ლარი: ავტოსადგომის მომსახურება. ელექტრონული აუქციონის ჩატარების საფასური.
- საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიშის გამოქვეყნების ღირებულება);

- უნივერსიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმის *(წყარო - უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლები)* ხარჯვამ კოდების მიხედვით შეადგინა - ***420281.119*** ლარი. აღნიშნულ თანხაში ასახულია უნივერსიტეტის თანხებით გაფორმებული ხელშეკრულებების კოდების ხარჯვა *(გარდა, შპს „საქართველოსფოსტისგან" საფოსტო-საკურიერომომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებისა /1300 ლარი/ - /მასზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება/ დაგეგმის ხარჯვაში არ არის ასახული)* და ხელშეკრულების გაფორმების გარეშე შესყიდვების კოდების ხარჯვაც.

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გაიცა სტუდენტთა ერთჯერადი სტიპენდია 750 ლარის ოდენობით.

ამასთანავე 2015 წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა გორის უნივერსიტეტისათვის საერთო საცხოვრებლის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც განთავსებული იქნება უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის სარეაბილიტაციო ნაწლში. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა წარდგენილ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა, და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, რომელთა რეკომენდაციითაც განხორციელდა პროექტის დაფინანსება მთავრობის მიერ. დღეისათვის უკვე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი გორის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის შესაქმნელად.